

დებულება
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიოში სტუდიების გავლის
შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ში (შემდგომში – „მაუწყებელი“) სტუდიების გავლის პირობებს.

მუხლი 2.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის, მაუწყებლის მოსამსახურეთა რეზერვის ერთიანი ბანკი შექმნის მიზნით მაუწყებელი უქმნის ახალგაზრდა სპეციალისტებს დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.

მუხლი 3.

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სტუდირება – მაუწყებელში ამ წესით რეგულირებადი, ანაზღაურებადი ან ანაზღაურების გარეშე საქმიანობა;
- ბ) სტუდიორი – პირი, რომელიც მაუწყებელში ამ წესის საფუძველზე გადის სტუდირებას;
- გ) სტუდიორობის კანდიდატი – პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად მონაწილეობს მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ სტუდიორობის კონკურსში.

მუხლი 4.

სტუდიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, ან იგი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მესამე ან მეოთხე კურსის, ან მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია.

მუხლი 5.

მაუწყებლის დირექტორი (შემდგომში - დირექტორი) ექვს თვეში ერთხელ, მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის გათვალისწინებით, განსაზღვრავს მომდევნო წლისათვის სტუდიორობის (ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე) ოდენობას.

თავი II.
სტუდიების კომისია

მუხლი 6

- 1. სტუდიორობის მიღებისა და სტუდიების მიმდინარეობის პროცესზე ზედამხედველობის მიზნით იქმნება სტუდიების კომისია (შემდგომში – კომისია);
- 2. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს დირექტორი.

მუხლი 7

- 1. კომისია შედგება თავმჯდომარისა და კომისიის წევრებისაგან;
- 2. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ როგორც მაუწყებლის თანამშრომლები, (საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის თანამშრომლების კომისიის მუშაობაში მონაწილეობა სავალდებულოა) ისე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და მოწვეული პირები.

მუხლი 8

- 1. კომისიის წევრებს შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს და კომისიის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე;
- 2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
- 3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ამ წესის მე-19 მუხლის შესაბამისად.
- 4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.

5. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

თავი III. კონკურსი

მუხლი 9

1. მაუწყებელში სტაჟიორი მიიღება კონკურსის წესით, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.
2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მათ შორის, კომპეტენტური კადრების საქართველოში დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით, კონკურსის გავლის გარეშე სტაჟიორი მიიღება დირექტორის ბრძანებით რომელიც უნდა დასაბუთდეს.

მუხლი 10

სტაჟიორთა კონკურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- ა) განაცხადების გადარჩევა;
- ბ) წერითი ან სხვა დავალება;
- გ) ტესტირება;
- დ) გასაუბრება.

მუხლი 11

1. სტაჟიორთა კონკურსის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას, მათ შორის, სტაჟიორობის კანდიდატთა განაცხადების გადარჩევას (სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმება, წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა), უზრუნველყოფს საკადრო ბაზის განვითარების სამსახური.
2. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება და რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონულად. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის ერთ მსურველს შეუძლია განსახილველად განაცხადება წარადგინოს ორ სტრუქტურულ ერთეულში;
3. სტაჟიორობის კანდიდატი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილია სტაჟიორად დასანიშნად, ან სტაჟიორად უნდა დაინიშნოს მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით, საკადრო ბაზის განვითარების სამსახურში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:
 - ა) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს;
 - ბ) დიპლომის ასლს (არსებობის შემთხვევაში) ან ცნობას პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსზე/მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.

მუხლი 12

1. სტაჟიორთა კონკურსს ცხადდება მაუწყებლის ვებგვერდის საშუალებით. სტაჟირების პოპულარიზაციისა და შესაბამისი კადრების მოზიდვის მიზნით შესაძლებელია დამატებით გამოყენებული იქნეს საჯარო შეტყობინების სხვა საშუალებები;
2. სტაჟიორთა კონკურსის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - ა) მაუწყებლის იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელებას, სადაც ცხადდება სტაჟიორთა კონკურსი;
 - ბ) ინფორმაციას სტაჟიორთა კონკურსის თემატიკის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ეტაპების შესახებ;
 - გ) ინფორმაციას შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
3. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დასაშვებია სტაჟიორთა კონკურსის ჩატარების შესახებ სხვა სახის ინფორმაციის გამოქვეყნებაც;
4. სტაჟიორთა კონკურსის ჩატარების დროს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით განსაზღვრავს დირექტორი
5. სტაჟიორთა კონკურსის პირველი ეტაპი უნდა ჩატარდეს კონკურსის გამოცხადებიდან არაუადრეს 14 და არაუგვიანეს 21 დღისა, ხოლო ყოველი მომდევნო ეტაპი – წინა ეტაპის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

მუხლი 13

1. ტესტირების ან/და დავალების ეტაპზე არ დაიშვება სტაჟიორობის კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს განაცხადების გადარჩევის ეტაპს;
2. გასაუბრების ეტაპზე არ დაიშვება სტაჟიორობის კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს ტესტირების ან/და წერითი დავალების ეტაპს;
3. ტესტირებისა და წერითი დავალების გამსვლელი ქულა უნდა აღემატებოდეს ქულათა მაქსიმალური ოდენობის ნახევარს;
4. ტესტირებისა და წერითი დავალების ჩატარებას უზრუნველყოფს საკადრო ბაზის განვითარების სამსახური.

მუხლი 14

სტაჟიორობის კანდიდატს სტაჟიორთა კონკურსის თითოეული ეტაპის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე 2 დღით ადრე მაინც.

მუხლი 15

კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მათ მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 16

სტაჟიორობის კანდიდატებისათვის გადაწყვეტილების გაცნობიდან 1 კვირის ვადაში კომისია განიხილავს სტაჟიორობის კანდიდატთა პრეტენზიებსა და საჩივრებს.

მუხლი 17

სტაჟიორობის კანდიდატის მოტივაციის, მისი პროფესიული/პროფესიული უნარ-ჩვევებისა და დასაკავებელი პოზიციისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად ტარდება გასაუბრება.

მუხლი 18

1. კომისიამ სტაჟიორობის კანდიდატთან გასაუბრებისას შეიძლება გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც მას საშუალებას მისცემს, მიიღოს ინფორმაცია კანდიდატის უნარ-ჩვევებზე, პროფესიულ კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე, რაც საჭიროა მაუწყებელში პირის სტაჟიორად დასანიშნად;
2. კითხვები შეიძლება დაისვას განსაზღვრული თანმიმდევრობით, შესაძლებელია დამატებითი კითხვების დასმაც განსაზღვრული საკითხების ირგვლივ, რაც დამოკიდებულია სტაჟიორობის კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხებზე;
3. კომისიის წევრები გასაუბრებისას ავსებენ სტაჟიორობის კანდიდატთა შეფასების ფორმას პროფესიული და პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვით (დანართი №1);
4. კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად მითითებულ სტაჟიორობის კანდიდატთა შეფასების ქულები ჯამდება სტაჟიორობის კანდიდატთა შეფასების ჯამურ ფორმაში (დანართი №2).

მუხლი 19

1. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია იყენებს სტაჟიორობის კანდიდატთა შეფასების ჯამურ ფორმას.
2. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილე სტაჟიორობის ყველა კანდიდატი ინდივიდუალურად ფასდება ქულათა სისტემით.
3. კანდიდატთა შეფასებებზე დაყრდნობით კომისია უფლებამოსილია, იმსჯელოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა) კანდიდატის სტაჟიორად დასანიშნად წარდგენის თაობაზე;
 - ბ) კანდიდატის სტაჟიორად დასანიშნად წარდგენაზე უარის თაობაზე.
4. სტაჟიორთა კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიის თავმჯდომარე დირექტორს წარუდგენს სტაჟიორობის იმ კანდიდატთა მონაცემებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს კონკურსის ყველა ეტაპი.
5. დირექტორი კომისიის თავმჯდომარის რეკომენდაციის საფუძველზე განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში სტაჟიორობის წარდგენილი კანდიდატებიდან საუკეთესო შედეგების მქონე პირებს ნიშნავს სტაჟიორებად მაუწყებლის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში;
6. არ შეიძლება ერთი სტაჟიორი სტაჟირებას გადოდეს მაუწყებლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში, ერთდროულად;
7. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი იმავდროულად არის სტაჟირების ხელმძღვანელი.

მუხლი 20

სტაჟიორთა კონკურსი ითვლება ჩამოხლეული, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არცერთი განაცხადი, ან კონკურსში გამარჯვებული სტაჟიორობის კანდიდატები უარს იტყვიან დანიშვნაზე, ან კომისიის მიერ დასანიშნად წარდგენილი არ იქნა არცერთი კანდიდატურა.

თავი IV. სტაჟირების ვადა

მუხლი 21

1. ანაზღაურებადი სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 თვიდან 1 წლამდე ვადით;
2. არაანაზღაურებადი სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 თვიდან 6 თვემდე ვადით;
3. სტაჟირების ვადა შესაძლებელია, გაგრძელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული ვადის ფარგლებში, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სტაჟიორის შეფასება (დანართი №3);
4. ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა ითვლება საერთო შრომით სტაჟში;
5. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი ცნობა (სერტიფიკატი) და მისი თანხმობის შემთხვევაში ირიცხება რეზერვში.

მუხლი 22

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სტაჟირების პერიოდში არასაკმაყოფილო მიზეზით ზედიზედ 5 დღის განმავლობაში სტაჟირების გავლის ადგილას გამოუცხადებლობა ან სტაჟირების გავლის ადგილას ხშირი არყოფნა, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს;
 - გ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
 - დ) სტაჟიორის მაუწყებელში ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნა;
 - ე) რეორგანიზაცია
 - ვ) სტაჟიორის გარდაცვალება;
 - ზ) სტაჟიორის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

- სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის, ან სტაჟირების ხელმძღვანელის წინადადების საფუძველზე.
- ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველზე სტაჟირების შეწყვეტის შემთხვევაში, სტაჟიორი 3 დღის ვადაში მაუწყებლის შესაბამის უფლებამოსილ პირს აბარებს იმ მატერიალურ ფასეულობას, რაც მას სტაჟირების გავლის პერიოდში გადაეცა.

თავი V. მაუწყებლის მოვალეობები

მუხლი 23

- მაუწყებელი სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად;
- სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სტაჟიორის მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ მივლინების, აგრეთვე, სტაჟიორის მიმართ მაუწყებლის შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. სტაჟიორს სამივლინებო ხარჯები აუნაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 24

- სტაჟირების ხელმძღვანელი საკადრო ბაზის განვითარების სამსახურთან შეთანხმებით სტაჟიორს განუსაზღვრავს სამუშაოს აღწერილობას.
- სტაჟიორის ხელმძღვანელი ვალდებულია, სტაჟიორს მისცეს მიმართულება და განუსაზღვროს მას შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა, მიაწოდოს აღნიშნულთან დაკავშირებით დროული და სწორი ინფორმაცია.
- სტაჟიორის ხელმძღვანელი პირადად აკონტროლებს სტაჟიორის მიერ გაწეულ მუშაობას, პერიოდულად აწვდის სასწავლო თემატიკას, აძლევს დავალებებს, კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას.
- სტაჟიორის ხელმძღვანელმა არ უნდა დაუშვას სტაჟიორის მიერ ისეთ სამუშაო პროცესში ჩართვა, სადაც შეიძლება საფრთხე შეექმნას სტაჟიორის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას;
- სტაჟიორის მიერ დაკისრებული ვალდებულებების სისტემატურად შეუსრულებლობის შემთხვევაში, სტაჟიორის ხელმძღვანელი ვალდებულია, დასვას საკითხი სტაჟირების შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 25

სტაჟირების მიმდინარეობის საერთო კოორდინაციას ახორციელებს საკადრო ბაზის განვითარების სამსახური

თავი VI. სტაჟიორის უფლება-მოვალეობები

მუხლი 26

- სტაჟიორს უფლება აქვს, ხელმძღვანელის თანხმობით:
 - გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
 - დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს მაუწყებლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;
 - გაეცნოს მაუწყებლის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის სპეციფიკას, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტასა და სათანადო დოკუმენტების შედგენაში, გამოიყენოს მაუწყებლის თანამშრომელთა კვალიფიციური ცოდნა დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას;

მუხლი 27

სტაჟიორი ვალდებულია:

- გაეცნოს და იხელმძღვანელოს მაუწყებლის და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის, საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით.
- დადგენილ ვადაში შეასრულოს სტაჟირების ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალებები;
- დაიცვას მაუწყებლის შინაგანაწესი, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა და სხვა აქტები, რომლებიც, მათი შინაარსის გათვალისწინებით, სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება ვრცელდებოდეს სტაჟიორზე;
- გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას, იზრუნოს მისთვის გადაცემული ნივთების მოვლაზე;
- სამუშაო ადგილზე გამოცხადება და მისი დატოვება დააფიქსიროს შინაგანაწესით განსაზღვრული წესით.

მუხლი 28

ხელწერილი მაუწყებლის დებულების და შინაგანაწესის, ასევე, ამ წესის გაცნობის შესახებ თან ერთვის სტაჟიორის პირად საქმეს (დანართი №4).

მუხლი 29

- სტაჟიორი, სტაჟირების ხელმძღვანელის ან სტაჟირების კომისიის თავმჯდომარის რეკომენდაციის საფუძველზე, მისი თანხმობით შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში.

2. პირი, რომელიც მაუწყებელში მიღებულია კონკურსის წესით და სტაჟირებას გადის ანაზღაურების გარეშე, სტაჟირების ხელმძღვანელის დადებითი შეფასების საფუძველზე, სტაჟირების დაწყებიდან არანაკლებ სამი თვის გასვლის შემდეგ შეიძლება გადაყვანილ იქნეს მისივე თანხმობით ანაზღაურებადი სტაჟიორის პოზიციაზე.

3. სტაჟიორი სტაჟირების ვადის გასვლამდე, სტაჟირების დაწყებიდან არანაკლებ სამი თვის გასვლის შემდეგ სტაჟირების ხელმძღვანელის დადებითი შეფასების საფუძველზე შეიძლება დაინიშნოს მაუწყებელში შესაბამის ვაკანტურ პოზიციაზე.

თავი VII. რეზერვი

მუხლი 30.

რეზერვი არის იმ პირთა შესახებ მონაცემთა ერთობლიობა, რომლებიც თავისი კვალიფიკაციითა და გამოცდილებით რეალურ კანდიდატებს წარმოადგენენ მაუწყებელში შესაბამისი პოზიციის დასაკავებლად.

მუხლი 31.

რეზერვის შექმნის მიზანია:

იმ პირთათვის, ვინც წარმატებით გაიარა სტაჟირება მაუწყებელში შესაბამისი, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში სამუშაოს შეთავაზება.

მუხლი 32.

1. რეზერვში ჩარიცხვას ექვემდებარება პირი, რომელმაც წარმატებით გაიარა სტაჟირება მაუწყებელში და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი;

2. რეზერვში პირის ჩარიცხვა ხდება სტაჟირების დასრულების შემდეგ, რეზერვში ჩასარიცხი პირის წერილობითი თანხმობით.

მუხლი 33.

1. რეზერვში ჩარიცხულ პირების აღრიცხვას აწარმოებს საკადრო ბაზის განვითარების სამსახური.

2. პირი რეზერვში ირიცხება 6 თვით. რეზერვში ჩარიცხული პირის განცხადებით რეზერვში ყოფნის ვადა შეიძლება გაგრძელდეს ერთჯერადად არაუმეტეს 6 თვით.

3. რეზერვიდან პირის გამოყვანა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პირი დაინიშნა მაუწყებელში შესაბამისი ვაკანტურ პოზიციაზე;

ბ) პირი გასამართლებულ იქნა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს სასამართლოა;

გ) პირი სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) პირს სასამართლოს მიერ ჩამოერთვა შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

მუხლი 34.

1. მაუწყებლის სტრუქტურული ერთეული, რომელიც საჭიროებს თანამშრომელს ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნად, საკადრო ბაზის განვითარების სამსახურს აცნობებს ვაკანსიის არსებობას, პოზიციის დასახელებსა და მის დასაკავებლად წაყენებული მოთხოვნების მინიშნებით.

2. საკადრო ბაზის განვითარების სამსახური სამ დღეში დირექტორს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს უგზავნის რეზერვიდან ამონაწერს იმ პირთა შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს.

3. საკადრო ბაზის განვითარების სამსახური შესაბამის კანდიდატს არჩევს შემუშავებული მეთოდის მიხედვით.

4. რეზერვში ჩარიცხული პირის მაუწყებელში შესაბამის ვაკანტურ პოზიციაზე დანიშნისას გათვალისწინებული უნდა იქნას, პირის კვალიფიკაცია, სტაჟირების კონკურსში მიღებული შეფასება, სტაჟიორის შეფასება (დანართი N3).

5. დირექტორი ვაკანტურ პოზიციაზე ნიშნავს შესაბამის კანდიდატს მისი განცხადების საფუძველზე.

6. ერთ ვაკანსიაზე ორი ან მეტი კანდიდატის წამოყენების შემთხვევაში ტარდება გასაუბრება.

7. ამ წესის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში რეზერვში ჩარიცხული პირის სამუშაოზე აყვანა ხდება გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით.

სტაჟიორთა კონკურსი

სტაჟიორობის კანდიდატთა შეფასების ფორმა პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების მიხედვით

	სტაჟიორობის კანდიდატის სახელი, გვარი	პროფესიული/ პიროვნული უნარ-ჩვევების შეფასება ¹	კომენტარი
1			
2			
3			
4			
5			

შემფასებლის სახელი, გვარი:

ხელმოწერა:

¹ 1- მიუღებელი; 2 – საშუალოზე დაბალი; 3 – კომპეტენტური; 4 – ძალიან კარგი; 5 – აჭარბებს მოლოდინს; გარდა ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალისა, შემფასებელს აქვს უფლება, აირჩიოს შეფასების შემდეგი ქულები: 1 ქულა, 2 ქულა, 4 ქულა და 5 ქულა.


თარიღი: _____

სტაჟიორთა კონკურსი

სტაჟიორობის კანდიდატთა შეფასების ჯამური ფორმა

სტაჟიორობის კანდიდატი-----

	კომისიის წევრი სახელი/გვარი	მიუღებელი	საშუალოზე დაბალი	კომპეტენტური	ძალიან კარგი	აჭარბებს მოლოდინს
1						
2						
3						
4						
5						
6						
	საშუალო არიტმეტიკული					



სსპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

სტაჟიორთა შეფასების ფორმა

შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ

სტაჟიორის სახელი, გვარი:	
დაკავებული პოზიცია:	
სტრუქტურული ქვედანაყოფი	
უშუალო უფროსი (სახელი, გვარი, თანამდებობა):	
შეფასების პერიოდი:	
გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს შეფასებაზე:	

1. მიზნების ან სამუშაო აღწერილობის მიხედვით გაწერილი ფუნქციების შესრულება

გასული 3 თვის სამუშაოს შესრულება		მიუღებელი	დაბალი	საშუალოზე დაბალი	კარგი	ძალიან კარგი	აჭარბებს მოლოდინს
1							
2							
3							

2. ზოგადი უნარ-ჩვევები

პასუხისმგებლობა, საიმედოობა – შეიძლება თუ არა სტაჟიორზე დაყრდნობა; ხელმისაწვდომია თუ არა სამუშაოს შესასრულებლად და დაწყებული სამუშაოს დასასრულებლად; სტაჟიორი პასუხისმგებლობით ეკიდება თუ არა სამუშაოს						
	მიუღებელი	დაბალი	საშუალოზე დაბალი	კარგი	ძალიან კარგი	აჭარბებს მოლოდინს
1. სამუშაო სრულდება ზედმიწევნით						
2. სამუშაოს დაგეგმვა და პრიორიტეტების განსაზღვრა ხორციელდება ეფექტურად						
შეფასების დასაბუთება და კონკრეტული მაგალითები						
პროდუქტიულობა, ხარისხი, დროის ეფექტური გამოყენება – უშუალო ხელმძღვანელის აზრით, ჩატარებული სამუშაო სრულყოფილი, ეფექტური და სწორია; სამუშაო შესრულებულია დროულად, სტაჟიორი აღწევს მიზნებს						
	მიუღებელი	დაბალი	საშუალოზე დაბალი	კარგი	ძალიან კარგი	აჭარბებს მოლოდინს
3. პუნქტუალობა და სამუშაოზე გამოცხადება აკმაყოფილებს მაუწყებლის მოთხოვნებს						
4. რთული სიტუაციებისადმი არის ადეკვატური და ეგუება ცვლილებებს						
5. სამუშაო სრულდება დადგენილ ვადებში						
6. ხელმძღვანელს სთავაზობს ახალი იდეებს						
7. წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად შეიმუშავებს საზრიან წინადადებებს						
8. ავლენს დამოუკიდებლად მუშაობის უნარს						
9. აცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს, დადებით და უარყოფით მხარეებს						
შეფასების დასაბუთება და კონკრეტული მაგალითები						
საქმის ცოდნა – სტაჟიორს აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები, ესმის საკუთარი საქმიანობის კონცეფცია, ტექნიკა და ტექნოლოგიები						

	მიუღებელი	დაბალი	საშუალოზე დაბალი	კარგი	ძალიან კარგი	აჭარბებს მოლოდინს
10. ავლენს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს						
11. შესაბამის სფეროში აქვს საფუძვლიანი თეორიული ცოდნა						
12. ორიენტირებულია პროფესიულ განვითარებაზე						
შეფასების დასაბუთება და კონკრეტული მაგალითები						
პიროვნული თვისებები/კომუნიკაბელურობა/ჯგუფში მუშაობის უნარი – სტაჟიორის ხარისხი, ინფორმაციის პროფესიული გაზიარება, სხვებთან ერთად მუშაობა მიზნების მიღწევის მიზნით						
	მიუღებელი	დაბალი	საშუალოზე დაბალი	კარგი	ძალიან კარგი	აჭარბებს მოლოდინს
13. აქვს ურთიერთობის ღია და უშუალო ფორმა						
14. მიმართვის ზეპირი და წერილობითი ფორმები არის ნათელი და კონკრეტული						
15. უფროსებსა და თანამშრომლებთან ამყარებს პოზიტიურ ურთიერთობებს						
16. ეფექტურად მუშაობს გუნდში						
შეფასების დასაბუთება და კონკრეტული მაგალითები						

სტაჟიორის ძლიერი და სუსტი მხარეები	
ძლიერი მხარე	სუსტი მხარე

სტაჟიორის ხელმოწერა:

თარიღი:

უშუალო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

ხელწერილი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დებულების, შინაგანაწესისა და მაუწყებლის სისტემაში სტაჟირების გავლის წესის გაცნობის შესახებ

_____ ვადასტურებ, რომ გავეცანი:
(სახელი) (გვარი)

- მაუწყებლის დებულებას/შინაგანაწესს
 - მაუწყებლის სისტემაში სტაჟირების გავლის წესს,
- რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

_____ (ხელმოწერა)

„____“ „_____“ 20 ____ წ.